სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება #639
(ოქმი #548

თბილისი

2026 წლის 29 ოქტომბერი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2026 წლის პერიოდის ფინანსური ნგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის, განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტის და ეფექტიანობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის თანახმად,

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2026 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის, განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის და ეფექტიანობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარების გამო საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცხადდეს კონკურსი წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული განცხადების შესაბამისად.
2. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ ვებ-გვერდებზე.

დანართი: საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის დანიშვნასთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსის განცხადება -- ფურცლად.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ვასილ მაღლაფერიძე

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კოხრეიძე

დავით ქართველიშვილი

თამილა დოლიძე

Tamila Dolidze 61001042033
Digitally signed by Tamila Dolidze
Date: 2026.10.29 14:45:35

ლიკა ბასილაია-შავგულიძე

სოსო სტურუა

Soso Sturua 61002008062
Digitally signed by Soso Sturua
Date: 2026.10.29 03:54:58

იზაბელა ოსიპოვა

გიორგი იაკობიშვილი

ლაშა ტუღუში

გრიგოლ მურღულია

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2026 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, საგადასახადო აუდიტის და განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, ასევე ეფექტიანობის აუდიტის (გარე აუდიტი) ჩატარებაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო ყოველწლიურად აცხადებს კონკურსს საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი აუდიტორული ფირმის მიერ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოს კანონს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2026 წლის პერიოდის აუდიტის ჩატარებაზე შემდეგი მიმართულებებით:

1) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი;
2) საგადასახადო აუდიტი;
3) განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი;
4) ეფექტიანობის აუდიტი.

გასაწევი მომსახურება დაყოფილია 3 ლოტად და პრეტენდენტ კომპანიას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს როგორც ერთ კონკრეტულ ლოტში, ასევე რამდენიმე ან ყველა ლოტში ერთდროულად, იმ პირობით, რომ იგი სრულად დააკმაყოფილებს თითოეული ლოტისთვის დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ლოტი 1: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2026 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

ღირებულება - ლოტი 1-ის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 69 000 ლარს დღგ-ს ჩათვლით

დავალების აღწერა (ტექნიკური დავალება)

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა განახორციელოს სსიპ „საზოგადოებრივი

მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2026 წლის პერიოდის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებებისა (მ.შ. 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანება და) და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციების საფუძველზე და არ წარმოადგენს სრულ IPSAS ფინანსურ ანგარიშგებას.

ვადები და მიწოდების პირობები:

- არაუგვიანეს **2027 წლის 10 აპრილისა**, კომპანიამ სამეურვეო საბჭოს უნდა წარუდგინოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის *შუალედური დასკვნები* ცალ-ცალკე – საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის და აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის.
- საბოლოო აუდიტორული დასკვნა, ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2027 წლის 20 აპრილისა.

შენიშვნა: ვინაიდან წლიური ფინანსური ანგარიშგების სახაზინო სამსახურში წარდგენის ვადა არის 1 აპრილი, გარე აუდიტის პროცესი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ 1-დან 20 აპრილამდე პერიოდში უზრუნველყოფილ იქნას საბოლოო პროცედურების დასრულება და დასკვნის დროული გაცემა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მონაწილე კომპანიის მიმართ (ლოტი 1):

1. რეგისტრირებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) რეესტრში და მინიჭებული უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პირის (სდპ) აუდიტის უფლებამოსილება.
2. კომპანიას უნდა ჰქონდეს პირველი კატეგორიის საწარმოებთან ფინანსური აუდიტის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება (სასურველია ტელე-რადიო მაუწყებლობის ან მსხვილი საჯარო ორგანიზაციების სფეროში).

ლოტი 2: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2026 წლის პერიოდში განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი და საგადასახადო შესაბამისობის აუდიტი

ღირებულება - ლოტი 2-ის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 40 000 ლარს დღგ-ს ჩათვლით

დავალების აღწერა (ტექნიკური დავალება)

კონკურსში გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა განახორციელოს 2026 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ:

ა) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი;

ბ) საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვისა და დეკლარირების შესაბამისობის შეფასება (საგადასახადო აუდიტი).

აუდიტი უნდა წარიმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000 - შესაბამისობის აუდიტის სტანდარტი) გამოყენებით. აუდიტის მიზანია შეფასდეს ოპერაციების კანონიერება, მარეგულირებელ ნორმებთან და ორგანიზაციის შიდა პოლიტიკასთან შესაბამისობა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მონაწილე კომპანიის მიმართ (ლოტი 2):

1. რეგისტრირებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) რეესტრში და მინიჭებული უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პირის (სდპ) აუდიტის უფლებამოსილება.
2. კომპანიას უნდა გააჩნდეს საგადასახადო და შესაბამისობის/შესყიდვების შემოწმების მიმართულებით მუშაობის გამოცდილება (კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს მსგავსი პროექტების სია).
3. აუდიტორული გუნდის ხელმძღვანელი ან გუნდის წამყვანი წევრი აუცილებლად უნდა ფლობდეს სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ მიერ გაცემულ, მოქმედ საჯარო სექტორის აუდიტორის სერტიფიკატს, რაც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსებისა და სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის სიღრმისეულ ცოდნას.
4. კომპანიას ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩატარებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ ერთი მსგავსი აუდიტი (სასურველია ტელე-რადიო მაუწყებლობის ან მსხვილი საჯარო ორგანიზაციების სფეროში).

ვადები და მიწოდების პირობები:

- არაუგვიანეს **2027 წლის 10 აპრილისა**, კომპანიამ სამეურვეო საბჭოს უნდა წარუდგინოს განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის და საგადასახადო შესაბამისობის აუდიტის *შუალედური დასკვნები* ცალ-ცალკე – საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის და აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის.
- საბოლოო აუდიტორული დასკვნა, ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2027 წლის 20 აპრილისა.

ლოტი 3: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ 2026 წლის პერიოდის ეფექტიანობის აუდიტი (სტანდარტი ISSAI-3000)

ღირებულება - ლოტი 3-ის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 19 000 ლარს დღგ-ს ჩათვლით

დავალების აღწერა (ტექნიკური დავალება)

აუდიტის ამ ნაწილის მიზანია დადგინდეს:

ა) ეკონომიურობა (Economy) — რამდენად ხდება საჭირო რესურსების შეძენა/გამოყენება შესაბამისი ხარისხით, საჭირო მოცულობით, საჭირო დროს და გონივრულ/საუკეთესო ხელმისაწვდომ ფასად;

ბ) ეფექტიანობა (Efficiency) — რამდენად ოპტიმალური თანაფარდობა არსებობს გამოყენებულ რესურსებსა და მიღებულ პროდუქტებს/შედეგებს შორის;

გ) შედეგიანობა (Effectiveness) — რამდენად არის მიღწეული ორგანიზაციის მიერ წინასწარ განსაზღვრული მიზნები და მოსალოდნელი შედეგები.

აუდიტისას, შეფასებული უნდა იქნეს, რამდენად უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ რესურსების გამოყენება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზნებისა და ფუნქციების შესრულებას და საჯარო სახსრებისგან სათანადო საზოგადოებრივი ღირებულების მიღებას.

Value for Money აუდიტი, საჭიროების მიხედვით, უნდა მოიცავდეს:

- საბიუჯეტო და ფაქტობრივი ხარჯების სტრუქტურის ანალიზს;
- მნიშვნელოვანი ხარჯების კატეგორიების ეკონომიურობის შეფასებას;
- ხარჯების დინამიკისა და წინა პერიოდებთან შედარების ანალიზს;
- ერთეულოვანი ხარჯების, თვითღირებულებისა და ხარჯის განმაპირობებელი ფაქტორების შეფასებას;
- მსგავსი/შესადარებელი საქმიანობის ან მომსახურების ხარჯების შედარებით ანალიზს (benchmarking), სადაც შესაბამისი მონაცემები ხელმისაწვდომია;
- პროგრამების, პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების შეფასებას;
- პერსონალისა და შრომის ანაზღაურების ხარჯების ეფექტიანობის შეფასებას;
- აუთსორსინგის, მომსახურების შესყიდვისა და შიდა რესურსებით შესრულების ალტერნატივების შეფასებას, შესაბამის შემთხვევებში;
- ძირითადი საშუალებებისა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივების გამოყენების ეფექტიანობის შეფასებას;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებსა და ციფრულ ინფრასტრუქტურაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების შედეგიანობის შეფასებას;
- საკონსულტაციო, მივლინების, წარმომადგენლობით და სხვა მნიშვნელოვანი ხარჯების ეკონომიურობისა და მიზანშეწონილობის შეფასებას;
- შესყიდვების შედეგად მიღებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებისა და მიღებული შედეგის ურთიერთმიმართების შეფასებას;

• მნიშვნელოვანი პროგრამების/პროექტების დაგეგმილ და ფაქტობრივ შედეგებს შორის შესაბამისობის შეფასებას;

• იმ შემთხვევების გამოვლენას, როდესაც კანონმდებლობასთან შესაბამისი ხარჯვა შესაძლოა ვერ უზრუნველყოფდეს შესაბამის ეკონომიკურ, ოპერაციულ ან საზოგადოებრივ შედეგს;

• რესურსების დუბლირების, არასაკმარისი გამოყენების, ჭარბი ხარჯვის ან სხვა არაეფექტიანი პროცესების იდენტიფიცირებას;

• შესაძლებლობების გამოვლენას, რომლებიც ორგანიზაციას საშუალებას მისცემს იგივე ან უკეთესი შედეგი ნაკლები ან უფრო ეფექტიანად გამოყენებული რესურსით მიიღოს.

Value for Money აუდიტის ფარგლებში შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ ხარჯების შემცირება, არამედ შესაბამისი მომსახურების ხარისხი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციები, აუდიტორიის საჭიროებები და ორგანიზაციის საჯარო მისია.

ამასთან, აღნიშნული აუდიტი **არ უნდა გულისხმობდეს სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევას ან ცალკეული სარედაქციო გადაწყვეტილებების შინაარსობრივ შეფასებას**. აუდიტის საგანი უნდა იყოს შესაბამისი რესურსების გამოყენების ეკონომიურობა, ეფექტიანობა, შედეგიანობა და მათთან დაკავშირებული მართვის პროცესები.

Value for Money აუდიტის საბოლოო ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებები, რაოდენობრივი და/ან ხარისხობრივი ანალიზი, შედარებები და დასაბუთებული დასკვნები.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები მონაწილე კომპანიის მიმართ (ლოტი 3):

1. რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო აუდიტორული ზედამხედველობის სამსახურის შესაბამის სახელმწიფო რეესტრში და გააჩნდეს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის (სდპ) აუდიტის განხორციელებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილება/ავტორიზაცია;

2. უნდა ფლობდეს არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული საქმიანობის გამოცდილებას;

3. სასურველია ჰქონდეს პირველი კატეგორიის საწარმოებთან, საჯარო სექტორის ორგანიზაციებთან ან საზოგადოებრივი მაუწყებლობის/ტელე-რადიო მაუწყებლობის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან აუდიტის განხორციელების გამოცდილება;

4. უნდა გააჩნდეს ხარჯვის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და შედეგიანობის/Value for Money ან performance audit-ის განხორციელების გამოცდილება;

5. აუდიტის ჯგუფში უნდა ჰყავდეს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები performance/value-for-money აუდიტის მიმართულებით.

6. აუდიტორული გუნდის ხელმძღვანელს ან გუნდის წევრს აუცილებლად მოეთხოვება სსიპ „საჯარო აუდიტის ინსტიტუტის“ მიერ გაცემული, მოქმედი საჯარო სექტორის აუდიტორის სერტიფიკატის ფლობა.

ვადები და მიწოდების პირობები:

- არაუგვიანეს **2027 წლის 10 აპრილისა**, კომპანიამ სამეურვეო საბჭოს უნდა წარუდგინოს ეფექტიანობის აუდიტის *შუალედური დასკვნები* ცალ-ცალკე – საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის და აჭარის ტელევიზიისა და რადიოსთვის.
- საბოლოო აუდიტორული დასკვნა, ქართულ ენაზე, 4 ეგზემპლარად (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2027 წლის 20 აპრილისა.

წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2026 წლის 16 ნოემბრის 18.00 საათამდე. წარმოდგენილ წინადადებაში მითითებული უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება ლოტების მიხედვით.

საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იქნეს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ადმინისტრაციულ შენობაში (მის. ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N31) დალუქულ კონვერტში. კონვერტზე აღნიშნული უნდა იყოს კომპანიის დასახელება, საკონტაქტო მონაცემები და კონკურსის დასახელება, რომელზეც შემოტანილია განაცხადი.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნას, წარმოდგენილი განაცხადების განხილვას, შეფასებას, კონკურსში მონაწილე კომპანიების წარმომადგენლებთან გასაუბრებას (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), გამარჯვებულის გამოვლენას და აუდიტორული კომპანიის დანიშვნას ახორციელებს სამეურვეო საბჭო თავის სხდომაზე.

საკონკურსო წინადადებების განხილვა იწყება წარმოდგენილი კონვერტების გახსნით.

საკონკურსო წინადადებების განხილვისას საბჭო ითვალისწინებს:

ა) აუდიტორული ფირმის შეთავაზებულ წინადადებებს;

ბ) აუდიტორული ფირმის გამოცდილებას;

გ) მომსახურების საფასურს.

წარმოდგენილი კონვერტების გახსნის შემდეგ გამარჯვებულის გამოვლენამდე სამეურვეო საბჭო ან/და მისი თავმჯდომარე უფლებამოსილნი არიან გასაუბრებისთვის მოიწვიონ კონკურსში მონაწილე აუდიტორული ფირმის უფლებამოსილი წარმომადგენლები ინფორმაციის დაზუსტება/განმარტებისათვის.

წარმოდგენილი საკონკურსო განაცხადების (მათში შემავალი დოკუმენტების, ასევე მონაწილე აუდიტორული კომპანიების უფლებამოსილი წარმომადგენლების ზეპირი დაზუსტებების/განმარტებების) განხილვის საფუძველზე საბჭო გამარჯვებულად აცხადებს აუდიტორულ ფირმას და თავისი გადაწყვეტილებით ნიშნავს მას მაუწყებლის გარე აუდიტის განმახორციელებელ აუდიტორულ ფირმად.

გამარჯვებულად ცხადდება ყველაზე დაბალი ფასის შემომთავაზებელი აუდიტორული ფირმა, რომლის წინადადება და განაცხადი შეესაბამება კონკურსის ყველა მოთხოვნას.

წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 2026 წლის 30 იანვრამდე გამოავლენს გამარჯვებულს.

საკონტაქტო ინფორმაცია
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირს:
სამეურვეო საბჭოს აპარატის უფროსი ირინე ზაქარიაშვილი: მობ. 577 177 100